საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების სამთავრობო კომისიის სხდომა

სხდომის ოქმი
#1

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

3 ივლისი, 2014 წელი

სხდომა დაიწყო: 11:00

სხდომა დასრულდა: 13:00

სხდომის თავმჯდომარე:	მიხეილ სარჯველაძე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
სხდომის მდივანი:	მარი ხარძიანი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილე.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები, კომისიის წევრების წარმომადგენლები და მოწვეული პირები:

შალვა ამირეჯიბი	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თანათავმჯდომარე;
დიმიტრი მახათაძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;
დავით გალეგაშვილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;
თამაზ თევზაძე	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;
მერი დაუშვილი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის წევრი;
ირაკლი ბერაია	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს (დეპარტამენტი) დირექტორი;
ნიკოლოზ წიკლაური	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
სოფიო მაისურაძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის ურბანული განვითარების სამმართველოს უფროსი;
რევაზ ბეშიძე	საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი;

თამარ ქოჩორაძე	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის და პროექტების მართვის სამმართველოს უფროსი;
ლევან კოკაია	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის რეგისტრაციის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
მაკა მანჯავიძე	გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მიხეილ ჯანიაშვილი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი
ალექსანდრე კოპალეიშვილი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

პაპუნა უგრეხელიძე	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე;
ივანე ცარციძე	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის, სივრცითი ინფორმაციისა და კადასტრის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
ვლადიმერ ჩხაიძე	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების მთავარი არქიტექტორი;
ეკატერინე მესხიძე	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
დიმიტრი მახათაძე	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის უფროსი;
გალაქტიონ ხახუბია	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის, სივრცითი ინფორმაციისა და

	კადასტრის უზრუნველყოფის დეპარტამენტის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის უფროსი;
გიორგი პეტრიაშვილი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის, სივრცითი ინფორმაციისა და კადასტრის უზრუნველყოფის დეპარტამენტის სივრცითი ინფორმაციის სამსახურის უფროსი

კომისიის დღის წესრიგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

1. პრეზენტაცია სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის პროექტის შესახებ
2. ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის 2014-2015 წლების სტრატეგიული ამოცანებისა და სამოქმედო გეგმის განხილვა და დამტკიცება
3. საორგანიზაციო საკითხები:
   - 3.1 თემატური სამუშაო ჯგუფის ამოცანების განსაზღვრა და დამტკიცება.
   - 3.2 კომისიის მდივნის და სამდივნოს შემადგენლობის დამტკიცება.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ მიხეილ სარჯველაძემ. მან მოკლედ მიმოიხილა სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საქმიანობის ძირითადი ასპექტები და წინაისტორია; კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოში სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის პროექტის მნიშვნელობას სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გეოსივრცითი მონაცემების ეფექტური გამოყენებისთვის. აღინიშნა, რომ ამ მიზნით სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნა წინგადადგმული ნაბიჯია და ამ ეტაპზე საჭიროა საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და აქტიური მუშაობის დაწყება ეროვნული ინფრასტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად. ის ფაქტი, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების კოორდინაცია პატივთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაც არის და ამავე დროს პროექტის წარმატებით განხორციელება მოითხოვს თითოეული სახელმწიფო უწყების მაქსიმალურ ჩართულობას და მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობას.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ პაპუნა უგრეხელიძემ ხაზი გაუსვა ევროკავშირის დირექტივა "INSPIRE"-ის მნიშვნელობას, ეროვნული ინფრასტრუქტურის ევროკავშირის ქვეყნებთან თავსებადი მონაცემების შექმნის, გაზიარებისა და ასევე საბოლოო ინტეგრაციის თვალსაზრისით. მან აღნიშნა, რომ ამ ინფრასტრუქტურის შექმნა სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენს, რადგან ის ხელს უწყობს გეოსივრცით ინფორმაციასთან დაკავშირებული საკითხების ეფექტურად მართვას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა ეკატერინე მესხიძემ. სპეციალური ვიდეო-რგოლი და პრეზენტაცია ეხებოდა სივრცითი მოანცემების

ინფრასტრუქტურის არსს, მნიშვნელობასა და სარგებელს. მან სხდომის მონაწილეებს აგრეთვე გააცნო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქმიანობა სივრცითი მონაცემების შექმნის კუთხით. სააგენტო, როგორც კადასტრზე, გეოდეზიაზე, დამისამართებაზე, კარტოგრაფიასა და სივრცით ინფორმაციაზე პასუხისმგებელი ორგანო, მნიშვნელოვან სივრცით ინფორმაცის ქმნის. მათ შორის, აღსანიშნავია დასრულებული და მიმდინარე პროექტები, როგორებიცაა: მუდმივმოქმედი საბაზისო სადგურების (CORS) ქსელი, დამისამართების სისტემა, ევროპის გლობალური და რეგიონალური რუკები, სანავიგაციო სისტემა, გუგლის რუკები და სხვა. ევროკავშირის „დაძმობილების" პროექტის ფარგლებში მოხდა ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება. აგრეთვე, დაგეგმილია საერთაშორისო პროექტების განხორციელება, რომლებიც ითვალისწინებს ტექნიკურ/ექსპერტულ დახმარებას ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებით. ეკატერინე მესხიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუტებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია ამა თუ იმ უწყებაში არსებული სივრცითი მონაცემების და მათთან დაკავშირებული პროექტების შესახებ.

პრეზენტაციის მსვლელობის დროს გამოიკვეთა უწყებების დაინტერესება სივრცითი მონაცემების წვდომასა და გამოყენებასთან დაკავშირებით. დიმიტრი მახათაძემ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, აღნიშნა სასწრაფო დახმარების მანქანების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს GPS-ებით მანქანების აღჭურვას. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს რეაგირება თითოეულ შემთხვევაზე, მნიშვნელოვანია, სწორი და აქტუალური ინფორმაციის ქონა მისამართების შესახებ. შესაბამისად, მათ სამინისტროს აუცილებლად დაჭირდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო რეესტრის მონაცემები. ქეთევან ნატრიაშვილმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, აღნიშნა სააგენტოსთან თანამშრომლობის და ზოგადად მათთვის საჭირო სივრცითი ინფორმაციის მნიშვნელობა. პაპუნა უგრეხელიძის განმარტებით, საჯარო რეეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ უკვე დამუშავებულია საქართველოს მასშტაბით საგანმანათლებლო ობიექტების სივრცითი მონაცემები, ასევე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სრულყოფილი სამისამართო სისტემის შექმნისთვის და მზადყოფნა გამოხატა თანამშრომლობისთვის.

სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურასთან და გეოსივრცითი ინფორმაციის გამოყენებასთან და დაკავშირებით, აგრეთვე მოსაზრებები გამოთქვეს მიხეილ სარჯველაძემ, თამაზ თევზაძემ, თამარ ქოჩორაძემ, ლევან კოკაიამ, ივანე ცარციძემ, გიორგი პეტრიაშვილმა, მერი დაუშვილმა, ქეთევან ნატრიაშვილმა.

როგორც მიხეილ სარჯველაძემ აღნიშნა, საჭიროა განისაზღვროს თითოეული სახელმწიფო უწყების მოთხოვნილებები სივრცით მონაცემებზე და აგრეთვე მათი შესაძლებლობები ამ მონაცემების წარმოების თვალსაზრისით. ყველა უწყება, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სივრცითი მონაცემების მწარმოებელი ვერ იქნება, თუმცა ყველა მათგანს დასჭირდება გარკვეული სივრცითი ინფორმაცია მათი საქმიანობის ეფექტური წარმართვისთვის.

სხდომის მეორე საკითხი წარადგინა გიორგი პეტრიაშვილმა. მან წარადგინა ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის 2014-2015 წლების სტრატეგიული ამოცანები, საორგანიზაციო სტრუქტურა და სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის

„დაძმობილების“ პროექტის ფარგლებში ავსტრიელი ექსპერტების დახმარებით. აღნიშნული სამოქმედო გეგმა, განხილული და შეჯერებული იყო 7-8 მაისს გამართულ სემინარზე, რომელზეც მოწვეული იყვნენ წარმომადგენლები სახელმწიფო სტრუქტურებიდან.

სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნების შესაბამისად ისეთ მნიშნელოვან საქმიანობებს, როგორებიცაა: სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების აღრიცხვა-ანალიზი, მეტამონაცემების წარმოების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტისა და ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შესახებ კანონპროექტის პირველი ვერსიის მომზადება, სივრცით მონაცემებისა და სერვისების წვდომისა და გამოყენების რეგულირებასთან დაკავშირებით ფინანსირებისა და ლიცენზირების პროექტის შემუშავება, მეტამონაცემების სტანდარტის პროექტის შექმნა, პირველი რიგის საბაზისო სივრცითი მონაცემების თემატური პრიორიტეტების განსაზღვრა და ამ მონაცემთა ნაკრებების დოკუმენტირება; მეტამონაცემების კატალოგის შექმნა და მისი გეოპორტალზე განთავსება და სხვ.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობები მოწონებულ და შეთანხმებულ იქნა სხდომის მონაწილეების მიერ.

სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე დღის წესრიგით გათვალისწინებული საორგანიზაციო საკითხები, კერძოდ, თემატურ სამუშაო ჯგუფებთან დაკავშირებული ამოცანების განსაზღვრა და დაკომპლექტება; კომისიის მდივნისა და სამდივნოს დამტკიცება.

გიორგი პეტრიაშვილმა მონაწილეებს გააცნო საქართველოს მთავრობის №262 დადგენილების მიხედვით განსაზღვრული ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ინსტიტუციონალური სტრუქტურა, რომელიც შედგება სამთავრობო კომისიისგან, სამდივნოსა და თემატური სამუშაო ჯგუფებისგან.

მოსაზრებები გამოთქვეს მიხეილ სარჯველაძემ, პაპუნა უგრეხელიძემ, ქეთევან ნატრიაშვილმა, დიმიტრი მახათაძემ, თამაზ თევზაძემ, შალვა ამირეჯიბმა, მერი დაუშვილმა, ირაკლი ბერაიამ, გიორგი პეტრიაშვილმა.

შეთანხმებულ იქნა, რომ კომისიის სამდივნო, როგორც შუალედური რგოლი სამთავრობო კომისიასა და თემატურ სამუშაო ჯგუფებს შორის, უზრუნველყოფს ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხების მართვას, კონცეფციების, სტანდარტების, რეგლამენტებისა და სხვა ტექნიკური პრიორიტეტების განსაზღვრას.

კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ სარჯველაძემ კომისიის სამდივნოს ხელმძღვანელად წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის, სივრცითი ინფორმაციისა და კადასტრის უზრუნველყოფის დეპარტამენტის სივრცითი ინფორმაციის სამსახურის უფროსის - გიორგი პეტრიაშვილის კანდიდატურა, ხოლო სამდივნოს მუშაობის ეფექტურობისთვის, მიზანშეწონილად ჩაითვალა სამდივნოს შემადგენლობა განისაზღვროს არა უმეტეს 10 წევრით, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ სივრცითი მონაცემების მთავარი მწარმოებელი სამინისტროებისა ან/და მათდამი დაქვემდებარებული სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, როგორებიცაა: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განათლებისა და

მეცნიერების სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური და მონაცემთა გაცვლის სააგენტო.

აღნიშნული საკითხი მოწონებულ და შეთანხმებულ იქნა სხდომის მონაწილეების მიერ.

სამთავრობო კომისიის დებულების, სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კონკრეტული საქმიანობების შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩაითვალა ექვსი თემატური სამუშაო ჯგუფის შექმნა: საზოგადოებასთან ურთიერთობის, საგანმანათლებლო, ლიცენზირებისა და ბიზნეს მოდელის, საკანონმდებლო, გეოინფორმაციული სისტემების (GIS) და ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) დაჯგუფები. სამინისტროების ჩართულობა თითოეულ ჯგუფში განისაზღვრება კონკრეტული სამინისტროს საქმიანობიდან გამომდინარე.

სხდომაზე შეთანხმდნენ, რომ სხდომის მასალები ოქმთან ერთად გაეგზავნებათ კომისიის წევრებს, ხოლო სამდივნოს, თემატური სამუშაო ჯგუფების და საკონტაქტო პირის კანდიდატებს თითოეული სამინისტრო წარმოადგენს არა უგვიანეს ა/წლის 10 ივლისისა.

სხდომის თავმჯდომარე: / მიხეილ სარჯველაძე /

სხდომის მდივანი: / მარი ხარძიანი /